



საქართველოს კულტურის სტრატეგია : ადამიანები, პროცესები,

პრიორიტეტები

30 იანვარი, 2015 წლის 30 იანვარი

სესია - ხელოვნება

(საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნება, ლიტერატურა და გამომცემლობა, კინო)

მოდერატორი - ზვიად მჭედლიშვილი, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

რეპორტიორი - შორენა ციცავა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომელი

მონაწილეები :

გიორგი ჩალაძე, მხატვარი-მოქანდაკე (რუსთავი)

გიორგი ფხაკაძე, რუსთავის თეატრალური საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი

მაია ჯამალაშვილი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის კოორდინატორი

ზვიად კვცაყმაძე, პოეტი, ჟურნალისტი (რუსთავი)

გიგა ჯღარკავა, ქვემო ქართლის ტელეკომპანიის აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ნოზაძე, მუსიკოსი, რეჟისორი (რუსთავი)

ალექსანდრე თოდუა, ფერმწერი, მონუმენტალისტი (რუსთავი)

მარიკა ფიროსმანაშვილი, რუსთავის კულტურის სამსახურის უფროსი

ხათუნა ქიტიაშვილი, რუსთავის სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ნათელა ვარდანიძე, რუსთავის ზ. ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის პედაგოგი

ლალი თანდაშვილი, ბოლნისის სამუსიკო სკოლის დირექტორი

დარეჯან ნოზაძე, მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (რუსთავი)

ფიქრია ჩუბინიძე, კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი (თეთრიწყარო)

ლია ბეჟანიშვილი, რუსთავის მთავარი ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი

მედეა გამსახურდია, რუსთავის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი

ლალი ტაბიძე, რუსთავის მე-4 სამუსიკო სკოლის პედაგოგი
ხათუნა ადუაშვილი, დმანისის სამუსიკო სკოლის პედაგოგი
თამუნა ანდიაშვილი, დმანისის კულტურის ცენტრის დირექტორი
ზოია ბერუაშვილი, დმანისის ა.ა.ი.პ. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი
ავთანდილ ნარსავიძე, დმანისის ა.ა.ი.პ. კულტურის და ხელოვნების ცენტრის ხატვის წრის პედაგოგი
გურგენ გურჩიანი, ფოლკლორული ანსამბლი „შგარიდა“-ს ხელმძღვანელი
ამირან ჯანჭღავა, პოეტი, „მეცამეტე თვის პოეტები“(რუსთავი)

ორსაათიანი დისკუსიის მანძილზე, კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და თავისუფალმა ხელოვანებმა რუსთავიდან, ბოლნისიდან, დმანისიდან ისაუბრეს ინფრასტრუქტურულ (კაზრეთის სკოლის შენობის მაგალითი, გალერეებისა და საგამოფენო სივრცეების სიმცირე), საგანმანათლებლო (უმალღესი სახელოვნებო განათლებისადმი მშობლების ნაკლები ინტერესი და მოტივაცია), ადმინისტრაციულ (მუნიციპალური კონკურსების კრიტერიუმებისა და კომისიის ექსპერტიზის მაგალითი, ადმინისტრაციული ბარიერების მაგალითი), ფინანსურ (სახელმწიფო დაფინანსების სიმწირე ვიზუალური ხელოვნების სფეროში), საზოგადოებაში დაბალი ცნობიერების (კულტურისადმი ნაკლების ინტერესის მაგალითი საზოგადოებაში) პრობლემებზე.

დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები და მათი გამოვლინებები :

1. გაუმართავი ინფრასტრუქტურა
2. კულტურის სფეროს პროფესიონალებში მოტივაციისა და საზოგადოებაში კულტურის სფეროსადმი ინტერესის არარსებობა
3. სფეროს პროფესიონალების წახალისების მექანიზმების არარსებობა და მათი ასიმეტრიული ანაზღაურება
4. კადრებისა და პროფესიული განათლების ხარისხის პრობლემა / კულტურის სფეროს პროფესიონალების გადამზადების საჭიროება / საშუალო სახელოვნებო განათლების რგოლის არარსებობა
5. კომუნიკაციის პრობლემა (ადმინისტრაციულ და სექტორულ დონეზე)
6. შემოქმედებითობის შეფასების მექანიზმების არარსებობა
7. ალტერნატიული დაფინანსების წყაროების სიმწირე
8. საკანონმდებლო ბაზის განახლების საჭიროება
9. კულტურის პოპულარიზაციის მექანიზმების სიმწირე / ცნობიერების დაბალი დონე კულტურის შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებაში
10. საჯარო სკოლებში შემოქმედებითობის განვითარების ხელშეწყობის საჭიროება

შედეგები

<p>რეგიონში კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა</p>	<p>კულტურის სფეროს მიმართ მოსახლეობაში მოტივაციის დაბალი დონე <i>განათლება/ დასაქმება/ სარგებლობა.</i></p>	<p>დაფინანსების სისტემის სისუსტე <i>ალტერნატიული დაფინანსების ფონდების არარსებობა.</i></p>	<p>კულტურის მოღვაწეთა წახალისების მექანიზმების სისუსტე</p>	<p>შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა</p>
<p>სფეროს რეგულირების მოძველებული ნორმატიული აქტები</p>	<p>კულტურის პოპულარიზაციის მეთოდის სისუსტე</p>	<p>მოძველებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p>	<p>შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების მექანიზმების მოძველებული მეთოდის გამოყენება</p>	
<p>რეგიონში კულტურის სფეროს პოტენციური შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე</p>				
<p>სუსტი კომუნიკაცია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების/ რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე/ თავად კულტურის სფეროში სექტორებს შორის.</p>	<p>საჯარო სკოლებში შემოქმედებითი განათლების ნაკლებობა</p>	<p>განათლების დაბალი ხარისხი <i>პროფესიული/ სახელოვნებო საშუალო.</i></p>	<p>ორგანიზაციების ფუნქციური ანალიზის მოძველებული მეთოდის გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურები/ კულტურის ორგანიზაციები.</p>	<p>პრობლემები</p>